

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 16 მაისის

დადგენილება №1987

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ¹ ქვეპუნქტის, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2013 წლის 13 მაისის საბჭოს №12 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით 2016 წლის 1 სექტემბრამდე განხორციელდეს ამავე ფაკულტეტის რეორგანიზაცია;
2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დაყოფის გზით შეიქმნას სამი ახალი ფაკულტეტი:
 - 2.1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
 - 2.2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - 2.3. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი.
3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნას ახლადშექმნილ ფაკულტეტებზე შემდეგნაირად:
 - 3.1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
 - ┌ სამართალმცოდნეობა – საბაკალავრო;
 - ┌ სამართალი – სამაგისტრო;
 - ┌ კრიმინალისტიკა – პროფესიული;
 - ┌ საერთაშორისო ურთიერთობები – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, საბაკალავრო (რუსულენოვანი);
 - ┌ სოციალური მეცნიერებები – სადოქტორო.
 - 3.2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
 - ┌ ევროპისმცოდნეობა – საბაკალავრო და სამაგისტრო;
 - ┌ მასობრივი კომუნიკაცია – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;
 - ┌ ჟურნალისტიკა (რუსულენოვანი) – საბაკალავრო;
 - ┌ საზოგადოებრივი ურთიერთობები – საბაკალავრო და სამაგისტრო;
 - ┌ არქეოლოგია – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;

- ⌋ ეკონომიკა – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;
- ⌋ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა .

3.3. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

- ⌋ ბიზნესის ადმინისტრირება – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, საბაკალავრო (რუსულენოვანი), სამაგისტრო (ინგლისურენოვანი);
 - ⌋ საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები – საბაკალავრო;
 - ⌋ საბანკო პროცესის მართვა – სამაგისტრო;
 - ⌋ ფინანსები – სადოქტორო;
 - ⌋ საჯარო მმართველობა – საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, სამაგისტრო (რუსულენოვანი);
 - ⌋ ელექტრონული ბიზნესის საინფორმაციო ტექნოლოგიები – სამაგისტრო.
4. 2016 წლის 1 სექტემბრამდე სტუ-ის რექტორმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მოვალეობის შემსრულებელმა უზრუნველყონ რეორგანიზაციისთვის საჭირო დონისძიებების განხორციელება;
 5. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ფაკულტეტები ჩაითვალოს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართალმემკვიდრედ ამ დადგენილების მე-3 პუნქტის 3.3, 3.4 და 3.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამების ნაწილში;
 6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ფაკულტეტებზე სტუდენტების გადაყვანა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
 7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
 8. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
 9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე